ხელშეკრულება N393
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი 6 დეკემბერი 2016 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **ს.ს.ი.პ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის **მამუკა ახალაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „პროვაიდერ.ge-provider.ge"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **სალომე კიკვაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

**მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ამ ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის მითითებული;

1.4 „შემსყიდველი" – სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" საბეჭდი ქაღალდის (A4 DOUBLE A 80გრ 500) **(SMP160003076 ბრძანება N01/01/126)** მიწოდება **(CPV30100000 – (30197630 - საბეჭდი ქაღალდი) საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა)** შემდგომში „საქონელი". (მ/ბ N3027)

**მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს სულ:**225 (ორას ოცდა ხუთი)** ლარს.

3.2 საგადასახადოდოკუმენტაციისშედგენასუზრუნველყოფს„შემსყიდველი";

3.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, დღგ-ს ჩათვლით რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი".

**მუხლი 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

4.1. „მიმწოდებელი":

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული „საქონლის" მიწოდება დანართი #1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) პასუხს აგებს უხარისხო „სამუშაოს" მიწოდებისათვის. ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია აღმოფხრვას ნაკლი 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში ;

გ) განიხილოს „შემსყიდველის" პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე არაუგვიანეს 3 დღისა, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 „შემსყიდველი":

ა) უფლება აქვს უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) გადაუხადოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

გ) „მიმწოდებელს“ წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული „საქონლის“ მიწოდებისას;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი**

5.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

5.2 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც „საქონლის“ მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.3 „შემსყიდველის“ შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და „შემსყიდველს“ უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

5.4 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს რევაზ ჩანტლაძეს

**მუხლი 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 „საქონლის“ მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**მუხლი 7. ანგარიშსწორების წესი**

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული „საქონლის“ ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

**მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება / ხელშეკრულების შეუსრულებლობა**

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების მომენტში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის რომელიმე მხარეს განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**მუხლი 11. შეტყობინება**

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**მუხლი 12. დავების გადაწყვეტა**

12.1 ხელშეკრულების შესრულებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებული უთანხმოება მხარეთა შორის წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის 12.1 პუნქტის შესაბამისად მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან;

14.2 საქონლის მოწოდების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით;

14.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2017 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

**მუხლი 15. დაუძლეველი ძალა:**

15.1 ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა და დაუძლეველი ძალის გარემოება ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს ისეთ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც ასეთი მხარის კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც, მიუხედავად მხარის ყველა გონივრული მცდელობისა მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ან მოგვარებული და რომელიც გადაიზრდება ან გამოიწვევს ასეთი მხარის მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას.

15.2 თითოეულ მხარეს ეპატიება მის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება და ამის საფუძველზე ხელშეკრულების თანახმად არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების სრული ან ნაწილობრივ ვი შეუძლებლობა დამდგარია დაუძლეველი ძალის გარემოებების ან მათგან გამომდინარე შედეგების გამო.

15.3 დაუძლეველი ძალის დროს მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების არსებობის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები. ამასთან ყველა მხარემ უნდა:

ა) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილოს, შეამციროს ან შეასუსტოს დაუძლეველი ძალის გარემოებით გამოწვეული შედეგები;'

ბ) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში შესრულება დაუძლეველი ძალის ნებისმიერი გარემოების შეწყვეტის შემდეგ და უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი ორივე მხარისათვის;

გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამციროს მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

15.4 მხარე, რომელიც აღმოჩნდა დაუძლეველი ძალის ზეგავლენის ქვეშ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულების შესახებ.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევს იმ დროის პროპორციულად, რა დროის განმავლობაშიც გრძელდებოდა დაუძლეველი ძალის მოქმედება, რის გამოც მხარე ვერ ასრულებდა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**მუხლი 16. სხვა პირობები**

16.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი პირი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი – „შემსყიდველს".

16.2 მხარეთა რეკვიზიტები:

ა) „შემსყიდველი":
**ს.ს.ი.პ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო**
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. #23
საიდენტიფიკაციოკოდი: 245 631 632;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგ/ნომერი: 707227058;
e-mail: info@mta.gov.ge
TEL / FAX: +995 422 27 49 25
+995 422 27 39 29

ბ) „მიმწოდებელი"
**შპს „პროვაიდერ.ჯი-provider.ge"**
მის: ბათუმი, ფარნავაზ მეფის 150
საიდენტიფიკაციო კოდი: 445427119
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22;
ანგარიშის # GE13PC0193600100011836;
TEL / FAX: +995 0322 380038

„შემსყიდველი"

მამუკა ახალაძე

„მიმწოდებელი"

სალომე კიკვაძე

დანართი N1

| N | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბეჭდი ქაღალდი (A4 DOUBLE A 80 გრ | შეკვრა | 30 | 7.5 | 225.00 |
| | | | | | 225.00 |

**თანხა სიტყვიერად: ორას ოცდა ხუთი ლარი**

ხელმოწერა ----------

მ.ა

PROVIDER GROUP
პროვაიდერ ჯი
445427119

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020133990527216

ქ. ბათუმი

**№ 01/01/126** **06 / დეკემბერი / 2016 წ.**

## სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ გადაუდებელი აუცილებლობის გამო გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 05 დეკემბრის N3361 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამსახურებრივი საჭიროებისათვის, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სააგენტოს შეუფერხებლად მუშაობისათვის განხორციელდეს უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის გამარტივებული წესით შესყიდვა.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს დავით მორჩიაშვილს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი მამუკა ახალამე